

## სიახლეები ახალგაზრდული ჰაბის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ

ALDA-ს გენერალური ასამბლეის პირველ დღეს, 7 ივნისს, ასოციაციის ჰაბი „ახალგაზრდების გაძლიერება და განათლება“, რომელიც მუშაობს ახალგაზრდების მონაწილეობის გაღრმავებაზე და ახალგაზრდებისთვის განათლებისა და სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობაზე, მოაწვობს ორ ღონისძიებას [TALE](#) და [P-CUBE](#) პროექტების ფარგლებში Maison Hap-ში, ბრიუსელში (ბელგია).

7 ივნისს, 14:00 საათზე (CEST) TALE პროექტის ფარგლებში, გაიმართება დისკუსიები და საუბრები TALE World Café ფორმატში. პროექტი დაფინანსებულია ევროპარლამენტის მიერ და ფოკუსირებულია 2024 წლის ევროკავშირის არჩევნებზე და ახალგაზრდების ჩართულობაზე.

ღონისძიებას გაუძღვება [ევროპის დემოკრატიის დედაქალაქი](#). ღონისძიება წარმოადგენს შესაძლებლობას გაუზიაროს შესაბამისი ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს 2024 წლის ევროკავშირის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, აამაღლოს ცნობიერება ევროკავშირის ძირითად პრიორიტეტებზე, ღირებულებებსა და ინსტიტუტებზე.

**შემოგვიერთდით ALDA-ს ფესტივალზე და გენერალურ ასამბლეაზე, რათა განვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა ახალგაზრდების ჩართულობა და დიგიტალიზაცია!**

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 7 ივნისს 16:00 საათიდან 17:30 საათამდე (CEST) ALDA-ს ჰაბი „ახალგაზრდების გაძლიერება და განათლება“ გამართავს პროექტის [P-CUBE](#) საერთაშორისო დასკვნით კონფერენციას, - "ციფრული განათლების პროექტი".

დიგიტალიზაციის თემაზე ისაუბრებს ევროკომისიის განათლების, ახალგაზრდობის, სპორტის და კულტურის გენერალური დირექტორატის წარმომადგენელი, ქალბატონი მართა მარკოვსკა (DG EAC).

მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრაში განხილული იქნება სამი კონკრეტული შემთხვევის კვლევა: [Longlife Learning Platform](#) (ხანგრძლივი სასწავლო პლატფორმა), [ALL DIGITAL](#) (დიგიტალიზაცია, ციფრული უნარები), [Science for Democracy](#) („მეცნიერება დემოკრატიისთვის“) მათ შორის ALDA-ს , რომლებიც დაკავშირებულია ციფრულ უნარებთან, ციფრულ განათლებასთან და თამაშთან, რომელიც შეიქმნა პროექტის P-CUBE ფარგლებში.

გაეცანით ALDA-ს ფესტივალისა და გენერალური ასამბლეის მთელ პროგრამას.  
[იხ.ბმული](#)